საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი

1. შრომის სამართალი არაიურისტებისთვის	
ტრენერი	**ტრენინგის მოკლე აღწერა**
ანა შატაკიშვილი 02.01.1992 **განათლება:** 2014-2016 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრის ხარისხი. 2010-2014 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნე (ბაკალავრის ხარისხი); **სამუშაო გამოცდილება:** 2014 წლიდან დღემდე-შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-იურიდიული დეპარტამენტის სასამართლო წარმომადგენლობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი; 2015 წლიდან დღემდე-სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“-მოწვეული ტრენერი; 2015 წლიდან დღემდე-საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია-ადვოკატი (სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია); 2014 წელი-საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია-იურისტ-კონსულტანტის თანაშემწე;	1. **რჩევა სტუდენტს, რატომ უნდა გაიაროს ტრენინგი, რას მიიღებს, რაში გამოიყენებს?** შრომის სამართალი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე დასაქმებულთა უფლებებს და ამ უფლებათა დაცვის სათანადო გარანტიებს ეხება. ტრენინგზე დასწრებით მონაწილეები შეძლებენ გაეცნონ შრომით სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმებს, გააანალიზონ სასამართლო პრაქტიკა და მიიღონ საჭირო ინფორმაცია შრომის სამართლის აქტუალურ საკითხებზე.

2011-2013 წწ.-სპს “გიორგი ოთარაშვილის იურიდიული კომპანია“სტაჟიორი; 2012 წელი-თბილისის საქალაქო სასამართლო-პრაქტიკანტი.	

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვა და საჯაროობის სამართლებრივი მოწესრიგება	
ტრენერი	**ტრენინგის მოკლე აღწერა**
ნინო ბაფხოშვილი 17.01.1990 **განათლება:** 2014-2016 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრის ხარისხი. 2007-2011 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნე (ბაკალავრის ხარისხი); **სამუშაო გამოცდილება:** 2015 წლიდან დღემდე-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დმანისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის უფროსი; 2015 წლიდან დღემდე-სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“-მოწვეული ტრენერი;	**რჩევა სტუდენტს, რატომ უნდა გაიაროს ტრენინგი, რას მიიღებს, რაში გამოიყენებს?** დღევანდელ მსოფლიოში, როცა ტექნოლოგიურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად გაამარტივა ინფორმაციის გაცვლა, დიდი გახდა ალბათობა იმისა, რომ ადამიანების პირადი სივრცე შეიზღუდოს, რაც გამოიხატება ჩვენი პერსონალური მონაცემების არამართლზომიერად გამოყენების რისკებში. საჯარო ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების საკითხების შესწავლა ხელს შეუწყობს საზოგადოების გაძლიერებას და ადამიანის ფუნდამენტალური უფლებების დაცვას. ტრენინგის მიზანია სტუდენტების ინფორმირება, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ინფორმაციის თავისუფლება, მისი სახეები, საჯარო ინფორმაცია, მისი მოთხოვნისა და გაცემის წესი, , საჯარო ინფორმაციის მიღების კანონიერი შეზღუდვა, სახელმწიფოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე, საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის სამართლებრივი შედეგები. ასევე პრინციპების დონეზე

2012-2016 წ -სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დმანისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მთავარი სპეციალისტი; 2013-2015 წწ სამოქალაქო სამართლის საქმეთა ადვოკატი.	საუბარი იქნება ადმინისტრაციული წარმოებაზე. ტრენინგზე განიხილება პერსონალური მონაცემების ცნება, მონაცემთა დამუშავების პრინციპები, საფუძვლები, სპეციფიური რეგულაციები, მონაცემთა დამმუშავებლის, უფლებამოსილი პირის, მონაცემთა სუბიექტისა და მესამე პირების უფლებები. მიმოხილული იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატის საქმიანობა და საქართველოში არსებული სტატისტიკა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით.

3. **სამართალი და ადამიანის უფლებები**	
ტრენერი	**ტრენინგის მოკლე აღწერა**
შალვა ყიფშიძე 04.06.1992 **განათლება:** 2014-2016 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრის ხარისხი. 2010-2014 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნე (ბაკალავრის ხარისხი); **სამუშაო გამოცდილება:** 2014 წლიდან დღემდე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს - სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“. პრივატიზების დეპარტამანტის მთავარი სპეციალისტი;	**რჩევა სტუდენტს, რატომ უნდა გაიაროს ტრენინგი, რას მიიღებს, რაში გამოიყენებს?** სამართალი აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. საზოგადოებრივად აქტიური ნებისმიერი პროფესიის მოქალაქეს ყოველდღიურად უწევს შეხება სამართლებრივ საკითხებთან. უმნიშვნელოვანესი იურიდიული ცნებების, სამართლის ცენტრალური ინსტიტუტების და პრინციპების ცოდნა სტუდენტებს გაუმარტივებს სამართლის სისტემაში ორიენტაციას. ტრენინგის მონაწილე სტუდენტები შეძლებენ გაიაზრონ სამართლის არსი, დანიშნულება და ადამიანის უფლებების მნიშვნელობა. პრაქტიკული სავარჯიშოების მეშვეობით გააცნობიერებენ, რა ფუნქციას ასრულებს ადამიანის უფლებები თანამედროვე სახელმწიფოში. აგრეთვე მიიღებენ ინფორმაციას უფლების დაცვის სამართლებრივი

2013-2014 - იურიდიული კომპანია სპს „მარგველაშვილი რეალ ქონსალტინგ“ - იურისტი (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი); 2013 -2014 - საადვოკატო ოფისი „გარანტია“ - იურისტი, ადვოკატი (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე).	მექანიზმების შესახებ.

4. **რა არის ევროკავშირი?**	
ტრენერი	**ტრენინგის მოკლე აღწერა**
გოგა ხატიაშვილი 25.09.1993 **განათლება:** 2015 წლიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრატურა 2011-2015 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნე (ბაკალავრის ხარისხი); **სამუშაო გამოცდილება** 2015 წლიდან დღემდე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის ანალიტიკოსი. 2014-2015- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სტაჟიორი, ადვოკატის თანაშემწე სისხლის სამართლის	**რჩევა სტუდენტს, რატომ უნდა გაიაროს ტრენინგი, რას მიიღებს, რაში გამოიყენებს?** ყოველდღიურ ცხოვრებაში სულ უფრო აქტუალური ხდება ევროკავშირის, როგორ საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნქციონირება და დანიშნულება. ტრენინგი სტუდენტებს საშუალებას მისცემს, გააცნობიერონ ევროკავშირის არსებობის მნიშვნელობა და ის მიზნები და ღირებულებები, რომლებიც მის საქმიანობას განსაზღვრავს. ასევე, ჩამოუყალიბდეთ შეხედულებები საქართველოსა და ევროკავშირის სამომავლო ურთიერთობების შესახებ.

მიმართულებით. 2013-2014 -ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, მენეჯერი. 2014- საქართველოს პარლამენტი, სტაჟიორი, საქართველოს პარლამენტის საქმიანობის მონიტორინგი.	

5. **სისხლის სამართლის პრაქტიკული საკითები**	
ტრენერი	**ტრენინგის მოკლე აღწერა**
ლაშა ბიწაძე 21.01.1993 **განათლება:** 2014-2016 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრის ხარისხი. 2010-2014 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნე (ბაკალავრის ხარისხი); **სამუშაო გამოცდილება:**	**რჩევა სტუდენტს, რატომ უნდა გაიაროს ტრენინგი, რას მიიღებს, რაში გამოიყენებს?** საქართველოს სისხლის სამართლის საფუძვლების ცოდნა მნიშვნელოვანია ნებისმიერი მოქალაქისათვის, ტრენინგი შეეხება სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ასევე საპროცესო საფუძვლებს. ტრენინგის მიზანია სტუდენტებმა მიიღონ ინფორმაცია სისხლის სამართლის ძირითად საფუძვლებთან, დანაშაულის სახეებთან და კატეგორიებთან დაკავშირებით, სისხლისსამართლებრივი დევნასთან, დაკავება/პატიმრობასთან, საგამოძიებო მოქმედებებთან, სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს სასამართლოს ფუნქციებთან, გამოძიების მიმდინარეობასა და დანაშაულის

2015 წლის ივლისიდან დღემდე- საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორი; 2015 წლიდან დღემდე-სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“-მოწვეული ტრენერი; 2014-2015 -სისხლის სამართლის საქმეთა ადვოკატი.	პრევენციულ ხასიათთან დაკავშირებით. ტრენინგის შედეგად მონაწილეები გაანალიზებენ სისხლის სამართლის პოლიტიკის მნიშვნელობას და მიეცემათ შესაძლებლობა მოახდინონ აქტუალური სამართლებრივი საკითხის სწორი შეფასება. სტუდენტები მიიღებენ ინფორმაციას საგამოძიებო ორგანოებთან, სასამართლოსთან, საგამოძიებო მოქმედებებთან, ასევე მათი, როგორც მოქალაქეების უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით. ტრენინგზე მიღებული ცოდნა დაეხმარება სტუდენტებს საკუთარი უფლებების უკეთ რეალიზებაში.

6. **ბიზნეს სამართალი**	
ტრენერი	**ტრენინგის მოკლე აღწერა**
ლევან ჟორჟოლიანი 18. 02. 92	**რჩევა სტუდენტს, რატომ უნდა გაიაროს ტრენინგი, რას მიიღებს, რაში გამოიყენებს?** კერძო ბიზნესის წამოწყება, ბიზნესის მართვა, ბიზნესში წარმატებული საქმიანობა მოითხოვს ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ზედმიწევნით კარგ ცოდნას. ტრენინგის თემატიკა აქტუალურია ბიზნესით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის, განსაკუთრებით სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ გაიგონ ბიზნესის დაწყებასთან, ბიზნესში მუშაობის და დავების მოგვარების შესახებ დეტალური ინფორმაცია. ასევე ტრენინგი თავისი ფორმატიდან გამომდინარე მონაწილეებს გამოუმუშავებს იმ



განათლება:
2014-2016 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრის ხარისხი.

2010-2014 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნე (ბაკალავრის ხარისხი);

2006-2010 სკოლა–ლიცეუმი „European School of Management (ESM)"

სამუშაო გამოცდილება:

2016 წლის მარტიდან დღემდე საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რომელიც აუცილებელია ზემოხსენებული საკითხების პრაქტიკაში გამოყენებისთვის და წარმატებული ბიზნეს-საქმიანობისთვის.

1. სამოქალაქო სამართლის სუბიექტები.
2. სამართლის დარგები, რომლებიც ქმნიან ბიზნეს სამართალს.
3. გარიგებების და სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი მიმოხილვა.
4. სამეწარმეო სამართლის საკითხები, რომელიც აქტუალური ბიზნეს სამართლისთვის.
5. საგადასახადო სამართლის მნიშვნელობა ბიზნესში.
6. შრომის სამართალი და წარმატებული ბიზნესი.
7. ბიზნეს დავების განხილვისა და გადაწყვეტის ტრადიციული, სასამართლო ფორმის თავისებურებები, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმების მნიშვნელობა ბიზნეს დავების მოგვარების დროს.

სპეციალური წარმომადგენელი კოლექტიურ შრომით სამართლებრივ დავებში; 2015 წლიდან დღემდე-სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“-მოწვეული ტრენერი; 2015-2016 შპს „ენერგო ინვესტი“ იურიდიული სამსახურის უფროსი; 2015 წლიდან დღემდე იურიდიული კომპანია „მდინარაძე და პარტნიორი ადვოკატები“. 2015-საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ერთ-ერთი წევრი და დამფუძნებელი. 2014 წლიდან დღემდე საქართველოს მედიაციის ცენტრის მედიატორი; 2014 -2015 -იურიდიული კომპანია „Professional Lawyer's Company (PLC)"; 2014 - 2016 წლებში არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ქსელი“. (პროექტის ხელმძღვანელი); 2013 წლიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლებრივი კონსულტანტი; 2011 წელი-“კახეთის ახალგაზრდული სამიტი“ ლიდერ ინსტრუქტორი; 2011 წელი ბანაკი „მზიური“– ლიდერ ინსტრუქტორი;	

2010-2012 წლებში კავშირი „ადამიანი კანონი თავისუფლება“ – სამართლებრივი პროექტების იურისტი.	